<u>დანართი N5</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან <u>(ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა. ამასთან, გამონაკლისის წესით, უნივერსიტეტსა და სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის ფარგლებში ან/და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)</u> და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1500 ლარი.

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1875 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1500 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1125 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1250 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 750 ლარი.

3. „ა“, „ბ“ და „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოები გაიცემა, აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი დატვირთვის შინაარსი და მოცულობა (მათ შორის გაანგარიშება) განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.